შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№45 (9.710)

5-12 დეკემბერი 2015 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

პირველი თოვლი

გვ.8

საგზაო უსაფრთხოება საქართველოში – საჭე მარცხნივ თუ მარჯვნივ?

გვ.7

შეუძლებელი არაფერია

სამყაროს შავ-თეთრი ფერები

გვ.2

მისი მიზანია, უფრო ახლოს მივიდეს უსინათლოებთან და დაინახოს,თუ რას გრძნობენ ისინი-მათი შეგრძნებები ხომ ძალიან ფაქიზია და მდიდარი...

სასწავლო პროცესი აღდგა

გვ.3

რა უნდა ვიცოდეთ კლიმატის ცვლილებაზე

გვ.7

ახალი პროექტი წყლის გრაფიკს წარსულში დატოვებს

როგორც გამგეობაში ამბობენ, ქალაქ დედოფლისწყაროში წყლის დებეტის გასაზრდელად გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია 900 000 ლარამდე დახარჯავს.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი: „შედეგად კი მივიღებთ ალტერნატიულ წყაროს, საიდანაც მარაგი გადაიტუმბება ცენტრალურ რეზერვუარში და კრიზისულ პერიოდებში ვითარების გაუმჯობესების შესაძლებლობა იქნება. ვფიქრობთ, მოსახლეობას 24 საათიანი წყალმომარაგება ექნება. პროექტის ბიუჯეტი 820 000 ლარია, მართალია თანხის მოცულობა ძალიან დიდია, მაგრამ მიმაჩნია, რომ პრობლემაც საკმაოდ სერიოზულია. ექსპერტიზის დასკვნაში წერია, რომ მოსალოდნელია წამში 10 ლიტრი წყალი მივიღოთ, რაც ჩვენს წყალმომარაგებას გააუმჯობესებს.“

გზა, რომელიც დაძლეულია...

გვ.2

ეს ის გზაა, რომელიც უსინათლომ მხოლოდ ხელჩაკიდებულმა უნდა დაძლიოს. ელიის მთას ისინი სხვისი თვალით და საკუთარი შეგრძნებებით აუყვნენ.

გამოიწერეთ გაზეთი „შირაქი“

2016 წლისთვის გაზეთ „შირაქის“ პერიოდულობა კვლავ ყოველკვირეული იქნება, რვაგვერდიანი და ფერადი. გამოწერის ღირებულება მთელი წლით 15 ლარი ეღირება, 6 თვით - 7,50 ლარი.

გამოიწერეთ გაზეთი „შირაქი“ – შეიტყეთ ყველაფერი დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

C M Y K

3 დეკემბერი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საერთაშორისო დღეა. ეს დღე მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს მათ ადაპტირებასა და ჩართულობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, იძლევა შესაძლებლობას, მოვახდინოთ მობილიზაცია შეზღუდული შესაძლებლობების პირთა ღირსების, უფლებებისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

სამყაროს შავ-თეთრი ფერები

„შეუძლებელი არაფერია“...



შავ-თეთრ ფერებში გადაწყვეტილი ნახატები, განსხვავებული ფორმა, ხელწერა – ეს ყველაფერი ერთი შეხედვითაც მიგახვედრებთ, რომ საქმე არაორდინალურ შემთხვევასთან გაქვთ. 2 დეკემბერს უპრეცედენტო გამოფენის მომსწრე გახდა დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი და იქ მისული საზოგადოება- ქ. თბილისის უსინათლოთა სკოლა-პანსიონის აღსაზრდელების ნახატებმა აქ დღის სინათლე კიდევ ერთხელ იხილეს.

ღონისძიება სახელწოდებით, “შეუძლებელი არაფერია“ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღეს მიეძღვნა, რომელსაც მსოფლიო ყოველი წლის 3 დეკემბერს აღნიშნავს.

მათი ხელოვნება ადვილად გასაგებია, მათი აბსტრაქციები ნამდვილად აბსტრაქტული არასოდეს არ არის და მათში ბუნება - ყვავილები, ქარი, ზღვა და მზე - ყოველთვის ჩანს. თუმცა, ადვილი არაა მათთვის მხატვრობა და მათთან ერთად იმ ადამიანისთვის, რომელიც ცდილობს, მათ ხელოვნების ეს დარგი მეტად შეაყვაროს...

პროექტის „უსინათლო და მცირემხედველთა შემოქმედება“ ავტორია მხატვარი გიორგი გურასპაშვილი.

პროექტის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლოთა ინტეგრაციის ხელშეწყობა, მათი ნიჭის პოპულარიზაცია, საზოგადოების ინფორმირება, რომ შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს. საინტერესოა, რა შემთხვევამ გაუჩინა მხატვარს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებთან ურთიერთობის სურვილი?

როგორც თავად გიორგი ამბობს, ამ გადაწყვეტილებამდე ერთმა შემთხვევამ მიიყვანა:

მისი მეგობარი, რომელსაც დიდი სურვილი ჰქონდა ხატვის,დაბრმავდა. მან მოიგონა ასეთი ექსპერიმენტი. თვითონ პლასტიკურ ფურცლებს კაწრავდა, მისი მეგობარი ხელით გრძნობდა ხაზს,მერე ადებდა ფურცელს და ხელითვე ბეჭდავდა. ეს იყო შემოქმედებითი ბეჭდვა და სწორედ ამან გადააწყვეტინა გიორგი გურასპაშვილს, მისულიყო უსინათლო ბავშვებთან და ესწავლებინა მათთვის ხატვა. დღეს მისთვის უკვე წარმოუდგენელია ცხოვრება ამ ბავშვების გარეშე, რადგან მისი მიზანია, უფრო ახლოს მივიდეს მათთან და დაინახოს,თუ რას გრძნობენ ისინი-მათი შეგრძნებები ხომ ძალიან ფაქიზია და მდიდარი...

„მე აკადემიაში ვმუშაობდი, 15 წელი ვასწავლიდი ხატვას. ჩემი სტუდენტი, რომელიც ამავდროულად ჩემი მეგობარიც იყო, დაბრმავდა. დავიწყე ფიქრი, თუ რა უნდა გამეკეთებინა იმისათვის, რომ გაგვეგრძელებინა ხატვა და მივიღე არაჩვეულებრივი რეზულტატი-ეს ექსპერიმენტის სახეს ატარებდა, რომლის წარმატებაშიც მე დარწმუნებული ვიყავი. პრინციპში ეს არის მეცნიერული მიდგომა, რადგან მეცნიერება არსებობს ნახატშიც...

შემდეგ მე დავიწყე მუშაობა ქ. თბილისის N22 სკოლაში, უსინათლოთა სკოლაში.ერთი წლის მანძილზე ვმუშაობდი აქ, ვახატინებდი ბავშვებს, შემდეგ კი ეს კოლექცია ვაჩუქე სკოლას. ვფიქრობ, ეს კოლექცია ყველამ უნდა ნახოს. რადგან ერთმანეთის მხარში დგომით თუ შევძლებთ ყველა პრობლემის დაძლევას.

2 წელი ვმუშაობდი ამ ადამიანებთან, მერე დამპატიჟეს ისრაელში, იქ ვნახე უსინათლო მხატვართა გამოფენა, დავინტერესდი აგრეთვე, თუ რა ურთიერთობა აქვს ხილულ ადამიანებს უსინათლოებთან. ევროპა დაინტერესდა ამ პროექტით, მაგრამ მინდა, რომ საქართველოში დაბადებული პროექტი აქვე დარჩეს“.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო აგრეთვე გიორგი გურასპაშვილისა და მისი შვილის ნახატები,რომლებმაც დამთვალიერებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა. გამოფენას საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელი პირებიც ესწრებოდნენ.

მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელმძღვანელმა ლალი გურასპაულმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო მხატვარ გიორგი გურასპაშვილის მოკლე ბიოგრაფია და დასძინა,რომ გამოფენა გაგრძელდება ერთი კვირის განმავლობაში და ნებისმიერ მსურველს შესაძლებლობა ექნება, ეწვიოს მას.

...კიდევ ერთხელ ვათვალიერებ ნახატებს და ვრწმუნდები, ეს არის უსინათლო ადამიანების გამოსავალი ტილოზე, ადამიანი ხატავს და ბედნიერია. ის უსინათლოა, ვერ ხედავს, მაგრამ ის სიყვარულს ხსნის ხელით...ეს მისი პიქტოგრამაა... თვალში მხვდება ერთ-ერთი ნამუშევარი, რომელსაც ამშვენებს წარწერა-„რა კარგია ხატვა“...ამაზე უკეთ ვერავინ ახსნის იმ განცდას, რომელსაც უსინათლო ბავშვი განიცდის ხატვისას, ეს მათი სამყაროსთან ურთიერთობის საუკეთესო საშუალებაა...

ინგა შიოლაშვილი

გზა, რომელიც დაძლეულია...

ეს ის გზაა, რომელიც უსინათლომ მხოლოდ ხელჩაკიდებულმა უნდა დაძლიოს. ელიის მთას ისინი სხვისი თვალით და საკუთარი შეგრძნებებით აუყვნენ. სავალი გზა 3 დეკემბერს გაუარესებულმა ამინდმა გაართულა, თუმცა მიზნის მიღწევაზე უარი ვერც ორგანიზატორებს და ვერც ექსპედიციის მონაწილეებს ათქმევინა. ამ დღეს ელიისკენ მიმავალი გზა ათმა უსინათლომ 5 ხილული მთამსვლელის თანხლებით დაძლია.

დავით ყვირილიანი, უსინათლო მთამსვლელი: „შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს და ჩვენ ეს დღეს კიდევ ერთხელ დავამტკიცეთ“.

ნანა ბრეგვაძე, აქციის ორგანიზატორი:“ მიუხედავად გაუარესებული ამინდისა, ჩვენ ერთად შევძელით, რომ ეს გზა დაგვეძლია და კიდევ ერთხელ თამამად გვეთქვა, რომ არ არსებობს შეძლუდული შესაძლებლობები და ერთად ყველაფერს დავძლევთ“.

შემდეგ აქციის მონაწილეებმა მოინახულეს აგვისტოს ომში გმირულად დაღუპული გმირის-გიორგი აბიათარის საფლავი და პატივი მიაგეს მის ხსოვნას. დღის ბოლოს კი გოდერძი გონაშვილის ღვინის მარანს ესტუმრნენ და თონეში პურის ჩაკვრისა და ჩურჩხელის ამოვლების შემდეგ ქართულ სუფრას მიუსხდნენ, რომელიც კახური მრავალჟამიერით გაიხსნა.

ჩვენ ვანგრევთ სტერეოტიპებს, ვშლით ზღვარს და ვამტკიცებთ, რომ არ არსებობს შეზღუდული შესაძლებლობები-ასე ჟღერდა იმ დღის სლოგანი, რომელმაც გაამართლა. ორგანიზატორი გახლდათ ტურისტული ორგანიზაცია Effect Tour Georgia.

ინგა შიოლაშვილი

ახალი პროექტი წყლის გრაფიკს წარსულში დატოვებს

დედოფლისწყაროს გამგებელი ირწმუნება, რომ ზაფხულში დედოფლისწყაროს წყალმომარაგებაზე გრაფიკის დაწესების აუცილებლობა აღარ იქნება... ბოლო ორი წელია, ზაფხულის განმავლობაში დებეტის უკმარისობის გამო წყალი მნიშვნელოვანი ხარვეზებით მიეწოდებოდა ქალაქ დედოფლისწყაროს, სამრეკლოსა და ხორნაბუჯს. რთული ვითარების გამო წინასწარ დადგენილი გრაფიკიც ხშირად ირღვეოდა.

როგორც გამგეობაში ამბობენ, ქალაქ დედოფლისწყაროში წყლის დებეტის გასაზრდელად გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია 900 000 ლარამდე დახარჯავს. შედეგად კი ახალი ჭაბურღილები გაიჭრება და დედოფლისწყაროს ცენტრალურ რეზერვუარში წყლის დებეტის ზრდა მოხდება. ეს კი ქალაქ დედოფლისწყაროს და მეზობელი ორი სოფლის მოსახლეობას საშუალებას მისცემს, ზაფხულის ცხელ დღეებში წყალი გრაფიკის გარეშე, ყოველდღიურად მიიღოს.

გეოლოგებმა ახალი ბურღებისთვის წერტილები ჯერ კიდევ ორი წლის წინ შეარჩიეს, თუმცა, დებეტის გასაზრდელად ჭაბურღილების გათხრა ვერც გასულ წელს მოხერხდა. ხელისუფლება ამბობდა, რომ მზაობა იყო, თუმცა საჭირო ფინანსები წყალმომარაგების კომპანიამ ვერ გამონახა.

როდის დაიწყება სამუშაოები, ვინ გამოყოფს ძვირადღირებული პროექტისთვის საჭირო მილიონამდე ლარს, რა ვადაში გამოცხადდება ტენდერი და მოესწრება თუ არა შედეგის მიღება მომავალი ზაფხულისთვის ამ კითხვებით „შირაქმა“ დედოფლისწყაროს გამგებელს მიმართა.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი: „ბოლო ორი წელია, დიდი გვალვების გამო ზაფხულის განმავლობაში რეზერვუარში წყლის დებეტი მცირდებოდა, მოხმარება კი იზრდებოდა, იძულებული ვხდებოდით გრაფიკზე გადავსულიყავით. ამ პროექტის განხორციელებით კი ეს პრობლემა დარეგულირდება. ამ დღეებში გამგეობაში უკვე შემოვიდა გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ოფიციალური წერილი, რომელსაც თან ერთვის ამ სამუშაოების პროექტი. კომპანია თვითმმართველობის ორგანოდან ითხოვს ნებართვას, რომ მისი განხორციელება დაიწყოს. ამავე დღეებში ნებართვას გავცემთ, შემდეგ კომპანია შესაბამისი პროცედურების დაცვით ტენდერს გამოაცხადებს და პრაქტიკულ სამუშაოებს შეუდგება. შედეგად კი მივიღებთ ალტერნატიულ წყაროს, საიდანაც მარაგი გადაიტუმბება ცენტრალურ რეზერვუარში და კრიზისულ პერიოდებში ვითარების გაუმჯობესების შესაძლებლობა იქნება. ვფიქრობთ, მოსახლეობას 24 საათიანი წყალმომარაგება ექნება. პროექტის ბიუჯეტი 820 000 ლარია, მართალია თანხის მოცულობა ძალიან დიდია, მაგრამ მიმაჩნია, რომ პრობლემაც საკმაოდ სერიოზულია. ექსპერტიზის დასკვნაში წერია, რომ მოსალოდნელია წამში 10 ლიტრი წყალი მივიღოთ, რაც ჩვენს წყალმომარაგებას გაუმჯობესებს.

-კონკრეტულად ვინ ახორციელებს ამ პროექტს და რა ფინანსური სახსრებით?

- პროექტს თავად გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია განახორციელებს, რადგანაც, როგორც იცით, ის ოპერირებს დედოფლისწყაროში და სახელმწიფო დაფინანსებით მოახდენს დებეტის გასაზრდელად ახალი ჭაბურღილების გაჭრას.

- ახალი ჭაბურღილებისთვის წერტილები გეოლოგებმა ჯერ კიდევ 2014 წლის ზაფხულში შეარჩიეს, ამჯერად რა ვადებში ვარაუდობთ სამუშაოების დაწყება-დასრულებას, მომავალი წლის ზაფხულისთვის რამდენად მოესწრება შედეგის დადება?

- ჩვენი მხრიდან ნებართვა ოპერატიულად, უახლოეს დღეებში გაიცემა. ვფიქრობ, დეკემბრის ბოლომდე ტენდერის დასრულება მოესწრება და სამუშაოების მწარმოებელი კომპანიის ვინაობა უკვე გარკვეული იქნება. ვვარაუდობთ, რომ მომავალი წლის პირველივე თვეებში სამუშაოების დაწყება უნდა მოხერხდეს. მნიშვნელოვანი ისაა, რომ ეს პროექტი რამდენიმე თვის განმავლობაში არსებობდა, წყალმომარაგების კომპანიამ უკვე მოიძია შესაბამისი საჭირო თანხები და ქმედითი ნაბიჯები გადაიდგა, რომ გეგმები რეალობად იქცეს“.

ილია მარტყოფლიშვილი

ადგილობრივი მოსაკრებლების ტარიფები შეიცვალა

2015 წლის 30 ნოემბრის სხდომაზე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა ადგილობრივი მოსაკრებლების ოდენობა, რომლის შესაბამისადაც:

მშენებლობის ნებართვისათვის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტის მშენებლობისა) მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრა:

ახლად ასაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებულ განაშენიანების ფართობის 1მ2 -ზე - 1.0 ლარის ოდენობით;

სტიქიური უბედურების შედეგად დაზიანებული ობიექტის მშენებლობისათვის 1მ2 ზე - 0,30 ლარის ოდენობით.

მშენებლობის ნებართვისათვის მოსაკრებლის გადამხდელია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებარე ობიექტის მესაკუთრე ფიზიკური ან იურიდიული პირი.

მშენებლობის ნებართვისათვის მოსაკრებელი გადაიხდევინება წინასწარ, აღმასრულებელი ორგანოს მიერ გადამხდელისათვის კანონით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების-მშენებლობის ნებართვის მიცემამდე.

მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლოატაციაში მიღების) თაობაზე აქტის გამოცემის (მასში ცვლილების შეტანის) დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრა:

II და III კლასის შენობა- ნაგებობის შემთხვევაში: განცხადების წარდგენიდან სამ სამუშაო დღეში - 500 (ხუთასი) ლარი; განცხადების წარდგენიდან ხუთ სამუშაო დღეში -300(სამასი) ლარი;

განცხადების წარდგენიდან შვიდ სამუშაო დღეში -200 (ორასი) ლარი;

IV კლასის შენობა-ნაგებობის შემთხვევაში:

განცხადების წარდგენიდან სამ სამუშაო დღეში - 1000 (ერთი ათასი) ლარი; განცხადების წარდგენიდან ხუთ სამუშაო დღეში - 500 (ხუთასი) ლარი.

დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის მოსაკრებლის ოდენობა თვეში ერთ სულ მოსახლეზე განისაზღვრა:

ქალაქ დედოფლისწყაროს, სოფელ ხორნაბუჯისა და სოფელ სამრეკლოს მოსახლეობისათვის - 0,50 ლარის ოდენობით. ხოლო სოფლების: ზემო მაჩხაანის, მირზაანის, არბოშიკის, ოზაანის, გამარჯვების, თავწყაროს, ჭოეთის, ზემო ქედის, არხილოსკალოს, ქვემო ქედის, სამთაწყაროს, ფიროსმანისა და საბათლოს მოსახლეობისათვის - 0,30 ლარის ოდენობით. იურიდიული პირების, ორგანიზაციების და დაწესებულებებისათვის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე - 15 ლარის ოდენობით ერთ კუბურ მეტრ ნარჩენზე.

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრა: სამორინეს თითოეულ სათამაშო მაგიდაზე - კვარტალში 20 000 ლარის ოდენობით; თითოეულ სათამაშო აპარატზე - კვარტალში 2 000 ლარის ოდენობით; თითოეულ წამახალისებელ გათამაშებაზე - საპრიზო ფონდის 10%-ის ოდენობით;

სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილ თამაშობაზე კვარტალში 35 000 ლარის ოდენობით;

ე)ლატარიების მოწყობაზე— ლატარიის ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების 20%-ის ოდენობით;

აზარტულიან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვით ორგანიზებული ობიექტის გარეთ განთავსებული, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების თითოეულ სალაროზე – კვარტალში 5 000 ლარის ოდენობით; თითოეულ კლუბის მაგიდაზე - კვარტალში 3 000 ლარის ოდენობით.

შეღავათები ადგილობრივი მოსაკრებლების გადახდაზე :

მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელზე 50%-ინი შეღავათი დაწესდა მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებზე, მათთან გათანაბრებულ პირებზე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა ოჯახებსა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლებზე.

ასევე, მოსაკრებელი გაიანგარიშება მოსახლეობისათვის - სულადობის მიხედვით, მაგრამ ოჯახის წევრთა რაოდენობის მიუხედავად. დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის დაწესებულ მოსაკრებელზე სულადობის მაქსიმალური ზღვრული ოდენობა განისაზღვრა 4 სულით.

მესაკუთრე ფიზიკურიპირი (გარდა მეწარმე ფიზიკური პირისა), რომლის საკუთრებაშიც წარმოიქმნება ნარჩენი, ვალდებულია წარმომქმნელთა რაოდენობის ცვლილების შესახებ 30 დღის განმავლობაში აცნობოს მოსაკრებლების გადახდევინებაზე პასუხისმგებელ სამსახურს.

მოსაკრებლებისგან თავისუფლდებიან:

მოსაკრებლის გადახდის ვალდებულებისაგან გათავისუფლებულია ის მოსახლე, რომელიც ცხოვრობს სასტუმროს ტიპის საცხოვრებელში, იმ შემთხვევაში თუ ეს უკანასკნელი თვითონ სარგებლობს შესაბამისი მომსახურებით.

დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებელი არ დაერიცხებათ იმ ოჯახებს (ფიზიკურ პირებს), რომლებიც რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მათი სარეიტინგო ქულა არ აღემატება ფულადი სოციალური დახმარებისათვის კანონით დადგენილ ოდენობას (სარეიტინგო ქულის არსებობის შემთხვევაში).

მოსაკრებელი გადაიხდევინება ყოველთვიურად, თვეში ერთხელ, ყოველი თვის ბოლო კალენდარული დღის მეორე დღიდან 20 დღის განმავლობაში.

კონკურსის მეორე ეტაპის შედეგები ცნობილია

როგორც გაზეთის წინა ნომერში ვწერდით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობამ 8 ვაკანტურ პოზიციაზე კონკურსი გამოაცხადა. 30 ნოემბერს ჩატარდა საატესტაციო კომისიის სხდომა, რომელზეც მოხდა შემოსული განაცხადების განხილვა-გადარჩევა. კომისიის ინფორმაციით, სულ შემოსული იყო 37 კონკურსანტის 53 განაცხადი(თითოეულს შეეძლო რამდენიმე ვაკანსიაზე განაცხადის შემოტანა). კომისიის გადაწყვეტილებით, 5 კონკურსანტს უარი ეთქვა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნებით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის გამო.

ტესტირების მეორე ეტაპზე გადავიდა 32 კონკურსანტი. ხუთ მათგანს უკვე ჩაბარებული აქვს ტესტირება და ცნობა მიღებული ქულების რაოდენობის შესახებ - წარმოდგენილი.

ტესტირების მეორე ეტაპი 3 დეკემბერს ჩატარდა. ვინ გადალახა მეორე ეტაპი და ვინ გაივლის გასაუბრებას, შედეგი უახლოეს მომავალში გაირკვევა.

სასწავლო პროცესი აღდგა

ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლის მეხუთე-მერვე კლასების მოსწავლეებმა სოფლის კულტურის სახლში სწავლა 30 ნოემბერს დაიწყეს. შენობის სარემონტო სამუშაოები უკვე დასრულდა .

დღესვე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ზვიად ჯავახიშვილმა და გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა საკრებულოს წევრებთან ერთად დასრულებული სამუშაოები დაათვალიერეს და სასწავლო პროცესს გაეცნენ. მუნიციპალიტეტის პირველმა პირებმა არსებული პრობლემების შესახებ ინფორმაცია უშუალოდ სკოლის პედაგოგებისგან მოისმინეს და მხარდაჭერა აღუთქვეს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულომ ,,მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის სოფელ ზემო მაჩხაანის კულტურის სახლში ა 126,3 კვ.მ. ფართის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულება 16 ოქტომბრის სხდომაზე მიიღო.

სოფლის საჯარო სკოლაში გაჩენილმა ხანძარმა სკოლის ერთი ფლიგელი სრულად გაანადგურა. კულტურის სახლის პარალელურად, სასწავლო პროცესი სკოლის გადარჩენილ ნაწილშიც გაგრძელდება.

ახლა კი მშვიდად დამეძინება

დიახ, ნამდვილად მშვიდად დამეძინება, რადგან ვიცი, რომ ის საიმედო ხელს ჩავაბარე, ვიცი, არ მოშივდება, არ შესცივდება და, რაც მთავარია, მის გარშემო იქნებიან თბილი და მზრუნველი ადამიანები. მისთვის ხომ ყველაზე მნივნელოვანი ადამიანია, არასოდეს უხარბია ქონების შეძენასა და დიდებაზე. მთელი ცხოვრება სხვებზე ზრუნვაში გაატარა. 92 წლისაა და ადამიანების სიყვარულით ვერ ასრულდა. მისთვის ყველაზე დიდი სასჯელი სწორედ ის სიმარტოვე იყო, რომელიც მას ბედისწერამ არგუნა. არ თხოულობდა საჭმელ-სასმელს, სულ იმას ივედრებოდა, მოდით, მნახეთ, რომ მოგეფეროთო. მთელი დღე ტელეფონი ეჭირა ხელში და მთელ ქალაქს ეხმიანებოდა, მოიკითხავდა, მიეალერსებოდა, დალოცავდა. ხან დღეში ორჯერ დამირეკავდა: - მიყვარხარ, მიყვარხარ , ხომ მაქვს სიყვარულის უფლებაო. და მე არ ვიყავ გამონაკლისი, მისი გული უამრავი ადამიანის სიყვარულს იტევს. სიკეთით სავსე იყო მის მიერ განვლილი ცხოვრების გზა, მიუხედავად იმისა, რომ უამრავი ტკივილი შეხვდა. მეშვიდე შვილი იყო თავის მშობლების, მის გულზე გადაიარა და-ძმების, დისშვილების, ძმისშვილების სიკვდილმა. არც მეუღლის მხრიდან დააკლდა ტრაგედიები. და მიუხედავად ამისა, არ დაბოღმილა, არ გაბოროტებულა. საკუთარი შვილი არ შეარჩინა ბუნებამ, მაგრამ დედობრივი მზრუნველობით გაზარდა დისშვილები და მათი შვილები, მაზლიშვილები. ისინი სტუმრად კი არ მოდიოდნენ მასთან, არამედ წლობით ცხოვრობდნენ, აქ დადიოდნენ საბავშვო ბაღსა თუ სკოლაში. დაფრთიანებდა ერთს, გზაზე დააყენებდა და ახლა სხვისი ჯერი მოვიდოდა. ბავშვის და მოზარდის გარეშე არ უცხოვრია. 68 წლის ასაკში დატოვა სამსახური, რადგან ერთდროულად 3 ცელქი ბიჭი იზრებოდა მის ოჯახში, რომლებიც ჯერ მხოლოდ დაწყებით კლასებში სწავლობდნენ.

ილია დემეტრაშვილი და თინა ფავლენიშვილი

სული ნუ დაგვალევინეო, იტყვი, ჩემო ძვირფასო მკითხველო, თქვი, ვისზე საუბრობო. ზოგიერთი თქვენგანი შეიძლება მიხვდა კიდეც, მაგრამ გავხსნი ფრჩხილებს და გეტყვით, რომ დღეს ჩემი გმირი თინა ფავლენიშვილი-კანიდია.

ვინც არ იცის, იმათ გავაცნობ მის ბიოგრაფიას. ის დაიბადა 1924 წლის 22 ივნისს სოფელ ძველ ანაგაში. ოთხი ძმა და ორი და ჰყავდა. სწორედ მრავალრიცხოვანმა ოჯახმა ჩამოუყალიბა მას ადამიანების სიყვარული. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, იყო შემცვლელი მოსამართლე, ეხერხებოდა ცეკვა-თამაში, ბუნებით მხიარული და არტისტული იყო და ამიტომ, პარტიის დავალებით, კულტურის სახლის დირექტორად დაინიშნა. მერე სოციალური სამსახურის თანამშრომელი იყო, ბოლო 25 წელი კი გაზეთ „შირაქის“ რედაქციის მშრომელთა წერილების განყოფილების გამგე გახლდათ და... მთელი რაიონის დეიდა და მამიდა. ყველას უანგაროდ ხელის გამმართველი, სიმართლისა და სამართლიანობისთვის შეუპოვარი მებრძოლი. რაიონის მოსახლეობის თვალში ის დარჩა ომახიანი, ვაჟკაცური ქალის სახედ და, ვინც იცნობდა, ალბათ, ვერც წარმოუდგენია თინა ფავლენიშვილის დღევანდელობა. დრომ თავისი გაიტანა, ის დაუძლურდა, გარშემო შემოეცალნენ თანატოლები და ახლო ნათესავები. დარჩა მარტო. გაუსაძლისი გახდა მისი ყოფა. ვისაც როგორ შეეძლო, შორიდან ისე პატრონობდა, აწვდიდა საჭმელს, მაგრამ მისი მარტო ყოფნა უკვე აღარ შეიძლებოდა. ველარ მოძრაობდა, თავს ველარ უვლიდა, მასთან სისტემატურად დარჩენა და დღედაღამ პატრონობის საშუალება კი არავის ჰქონდა. რამდემჯერმე დაკარგა გონი და, რომ არა შემთხვევითობა, მისი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. თბებოდა ღია ელექტრო გამათბობელით, რაც ძალიან საშიში იყო ხანძრის გაჩენის თვალსაზრისით, ყველა, ყოფილი თანამშრომლებიც და ნათესავებიც, მის გამო ძალიან ვწუხდით. და აი, ერთხელ, სასწრაფო დახმარების მორიგი გამოძახების დროს, ექიმმა ნანა ყარალაშვილმა ნახა ის. ქალბატონ ნანას ძირითადი საცხოვრებელი წნორში აქვს. ამიტომ მან მომაწოდა ინფორმაცია წნორში მოხუცთა პანსიონატის არსებობის შესახებ. ვიმსჯელეთ სამსახურში, ნათესავებთან და გადავწყვიტეთ მისი წნორში წაყვანა. პატარა ქალაქია დედოფლისწყარო, კატას რომ კუდი გადაუბრუნდეს, ყველამ იცის. თინას ამბავიც გავრცელდა. აზრი ორად გაიყო. ვინღა არ მირეკავდა. ზოგი მლოცავდა, რა კარგად მოგიფიქრებიაო, ზოგს კი ჩვენი გადაწყვეტილება არ მოსწონდა:- ორი პარასკევი დარჩენია, თავის სახლში იყოსო. თუმცა, არავინ იცის, ვის რამდენი პარასკევი დარჩა. როგორც მისი ექიმი ქეთევან შანშიაშვილი განმარტავს, თინას სიცოცხლესთან შეუთავსებელი არცერთი დაავადება არ აღენიშნება. ის, უბრალოდ, სიბერისაგან არის დაუძლურებული და არ არის გამორიცხული, წლები იცოცხლოსო. ზოგი გვთავაზობდა, მომვლელი აუყვანეთო. ეს ზოგადი ფრაზაა. მოდით, დავითვალოთ: სადღეღამისო მომვლელი თვეში 400 ლარზე ნაკლებად არ იმუშავებს. ამ ხარჯს უნდა დავუმატოთ ორი ადამიანის კვების, გათბობის, საყოფაცხოვრებო და საგადასახადო ხარჯები, რაც 600-700 ლარს სცილდება. ამიტომ დავიწყე საბუთების შეგროვება და ჩვენმა სოციალურმა სამსხურმა მას გაუწია რეკომენდაცია წნორის მოხუცთა პანსიონატ „ბეთელში“ (რაც ითარგმნება როგორც „ღვთის სახლი“) გაგზავნის თაობაზე. ვიდრე სოციალური დახმარების სააგენტოს პასუხი მოვა, თინას გაზრდილმა დისშვილიშვილმა აკაკი ინაშვილმა გამოიჩინა კეთილი ნება და ოცი დღის გადასახადი შეიტანა, რამაც მისი წინსწრებით წაყვანის საშუალება მოგვცა. მისმა ნათესავებმა პაატა და პელიკო ფავლენიშვილებმა მოაწესრიგეს და მოამზადეს ის წასაყვანად, როგორც ფიზიკურად, ასევე მორალურად. ოთხშაბათს, 2 დეკემბერს, ჩვენ თინა საიმედო ადგილზე დავაბინავეთ. დღეს ხუთშაბათია, 3 დეკემბერი, როცა ამ წერილს ვწერ, გარეთ ხვავრიელად თოვს. მე კი აღარ მედარდება, რომ მას შესცივდება ან მოშივდება.

გვინდა, გაგაცნოთ ის გარემო, სადაც ქალბატონი თინა იმყოფება. ვესაუბრებით სათემო ორგანიზაცია „ბეთელის“ მენეჯერს ილია დემეტრაშვილს. ბატონი ილია თავადაც და ორგანიზაციის თავჯდომარე გია მოსულიშვილიც ექიმები არიან. სწორედ მათ გადაწყვიტეს, გაეხსნათ პანსიონატი, დახმარობდნენ ხანდაზმულ ადამიანებს და აგერ ორ წელზე მეტია, ამ საქმეს წარმატებით ართმევენ თავს.

- ამჯერად 17 ბენეფიციარი გვყავს. 6-7 ბენეფიციარის მიღება კიდევ შეგვიძლია. არიან ქალებიც და მამაკაცებიც. ერთი ცოლ-ქმარიც გვყავს. გვაქვს ორ, სამ და ოთხსაწოლიანი ოთახები, ვისაც როგორ სურს, იმის მიხედვით ვანაწილებთ. კვება სამჯერადია. მენიუში შედის კვირაში ორჯერ ძროხის ხორცის წვნიანი, ქათმის ბულიონი, თევზი, ლობიო, ბურღულეული, რძის პროდუქტები და ტკბილეულიც. პირველად სამედიცინო მომსახურებას ადგილზე ვუწევთ. მათ ოჯახის ექიმი ელიზა ხელაშვილი ემსახურებათ. მომვლელი პერსონალიც სულ სამედიცინო განათლებითაა, ისე, რომ ამ თვალსაზრისით ძალიან კარგი მდგომარეობა გვაქვს. სტაციონარში მოთავსების აუცილებლობის შემთხვევაში, ვაფორმებთ ხელშეკრულებას სამედიცინო ცენტრ „არქიმედესთან“. ჩვენი ძალებით გადაგვყავს ავადმყოფი საავადმყოფოში, სათანადო მკურნალობის შემდეგ, გამოჯანმრთელებულს ვაბრუნებთ ჩვენთან. ხარჯები ამ მკურნალობისათვის იფარება საყოველთაო დაზღვევით. ამ პროექტის ფარგლებში ჩვენ რამდენიმე ბენეფიციარს, მხედველობის პრობლემის გამო, თვალის ოპერაციაც გავუკეთეთ. შენობაში შხაპი და სველი წერტილები გამართულად ფუნქციონირებს. ვცდილობთ, სითბოთი და პატივისცემით მოვეპყრათ თითოეულ მათგანს, ისინი ხომ ისედაც სიმარტოვეს და უყურადღებობას „გამოექცნენ“ საკუთარი სახლებიდან. ამიტომ, ვცდილობთ, ეს დანაკლისი შევუვსოთ, - თქვა ჩვენთან საუბარში ბატონმა ილიამ.

ჩვენ გავესაუბრეთ პანსიონატის მკვიდრთ, რომელთა შორის ზოგი კასპიდანაა, ზოგი გორიდან, თბილისიდან, გურჯაანიდან და თვით წნორიდანაც. მათ შორის აღმოვაჩინეთ ჩვენი მუნიციპალიტეტის სოფელ ჭოეთის მკვიდრი, რომელიც უკვე მეორე წელია, აქ ცხოვრობს, არ ჰყავს ოჯახის სხვა წევრები, ახლობლები და ძალიან კმაყოფილია მომსახურებით. მადლიერებას გამოთქვამს თითოეული მათგანი ,როგორც საცხოვრებელი პირობების, კვების, ასევე მომსახურე პერსონალის მიმართ.

ეს სიამოვნება კი თითოეულ მათგანს დღეში 16 ლარი უჯდება, რაც თვეში 480-496 ლარს შეადგენს. თუ გავითვალისწინებთ ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენებ სადღეღამისო ხარჯებს, რომელიც თვეში 600-700 ლარი უჯდება ერთი მოხუცის შენახვისთვის მეპატრონეს, დავინახავთ, რომ პანსიონატში ცხოვრება სულაც არ არის ძვირი, მით უმეტეს, იმ შემთხვევაში, თუ იმ 496 ლარის 70%-ს სოციალური სამსახური აგინაზღაურებს და შენ მხოლოდ 30 %-ის დაფარვა მოგიწევს, რაც, ძირითადად, პენსიიდან (90 ლარის ოდენობით)უკავდებათ პენსიონერებს.

ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი ისევ ძველ მენტალიტეტშია ჩარჩენილი. მიაჩნიათ, რომ თავისი მოხუცი აუცილებლად სახლში უნდა ჰყავდეთ, ხშირ შემთხვევაში, უპატრონოდ, სიცივეშიც, სათანადო კვებითი რაციონის გარეშეც, ხანდახან უპატივისმცემლოდაც (შენ არავინ გეკითხება, შენი საქმე არ არის, ნეტავ გაჩუმდებოდე, რა სული ჩაგეკირა) და ხშირად ჩხუბისა და ოჯახური განხეთქილების მიზეზადაც.მოხუცთა თავშესაფარში წაყვანა კი ეთაკილებათ. არადა, იქნებ სჯობია, ხანდაზმულები ერთად, ერთნაირ გარემოში იყვნენ, ერთმანეთი გაამხნევონ, აზრი გაუზიარონ, ერთმანეთს თავისი ცხოვრების წარსული დღეების – სიხარულისა და ტკივილის შესახებ მოუთხრონ, თავის დროზე სადილი ჰქონდეთ, ექიმები და ექთნები მუდმივად მათ განკარგულებაში იყვნენ დღე და ღამე და ახლობლებიც, არა მობეზრებულ-გაღიზიანებულები, არამედ მონატრებულები მათ სანახავად და მოსაკითხად დადიოდნენ.

მე ასე ვფიქრობ და არა მგონია, ვცდებოდე. სწორედ ამიტომ ვითავე ჩემი ყოფილი თანამშრომლის, ჩემი უფროსი მეგობრის თინა ფავლენიშვილის მოხუცთა პანსიონატში დაბინავება მისივე კეთილდღეობისა და ჩემი სულის დასამშვიდებლად.

ნაირა გორაშვილი

P.S. მართალია, გამომშვიდობებისას არ უნერვიულია და გაბრწყინებული თვალებით გამომაცილა, მაინც მთელი ღამე ვნერვიულობდი, ნეტავ როგორ არის -მეთქი. მეორე დღესვე, დილით ტელეფონით ვესაუბრე: როგორ ხარ, როგორ გეძინა წუხელ უცხო გარემოში-მეთქი, ვკითხე. ძალიან კარგად, უზომოდ კმაყოფილი ვარ, ღმერთმა გიშველოს ჩემი შველისთვისო, მითხრა. სინდისი უფრო დამიმშვიდდა და ჩემი გადაწყვეტილების სისწორეში ერთხელ კიდევ დავრწმუნდი.

დედოფლისწყაროს სპმთპ-რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელად კვლავ მაყვალა მაძღარაშვილი აირჩიეს

20 წლის წინ, 1994 წელს იუნესკომ (UNESCO) შრომის საერთაშორისო ორგანიზაციასთან ერთად, პარიზში გამართულ სპეციალურ სამთავრობოთაშორისო კონფერენციაზე 5 ოქტომბერი მასწავლებლის საერთაშორისო დღედ გამოაცხადა. მასწავლებლის საერთაშორისო დღის დაწყებიდან იუნესკოს პარტნიორები არიან: განათლების ინტერნაციონალი, იუნისეფი და გაეროს განვითარების პროგრამა. საქართველოში უკვე წლებია არსებობს საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი, რომელიც სამართლიანობაზე, (სპმთპ) ის დემოკრატიულ პრინციპებზე, ხარისხიან განათლებაზე, პროფესიული განვითარების ხელშეწყობაზე ორიენტირებული ორგანიზაციაა, რომელსაც მისივე წევრები მართავენ.

პროფკავშირში გაერთიანებულ პედაგოგს აქვს პრივილეგია, უფასოდ გაეწიოს სამართლებრივი დახმარება დარღვეული უფლებების აღსადგენად; მიიღოს მაღალი რანგის ტრენერებისგან უფასო სემინარები და პროფესიული თვალსაზრისით დაცულად იგრძნოს თავი. მონაწილეობა მიიღოს შეხვედრებში, რომელიც სამეცნიერო შეხვედრის გარდა, პედაგოგების გაცნობადაახლოებას ემსახურება.

შეგახსენებთ, რომ პედაგოგიურ კავშირს ჩვენს რაიონში ხელმძღვანელობს მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილების მქონე ქალბატონი მაყვალა მაძღარაშვილი. მისი მოწვევით გასულ კვირას გაზეთი „შირაქი" დაესწრო დედოფლისწყაროს პროფკავშირების რიგით მეექვსე ყრილობას, სადაც რაიონის და სოფლების სკოლის დირექტორები, ყველა სკოლის პროფკავშირის თავმჯდომარეები და პროფკავშირის წევრი პედაგოგები იყვნენ მოწვეულნი.

შეხვედრას უძღვებოდა თავად ქალბატონი მაყვალა მაძღარაშვილი. ყრილობაზე აირჩიეს პრეზიდიუმის წევრები, მის თავმჯდომარედ კი მეორე საჯარო სკოლის პედაგოგი ეთერ ელიზბარაშვილი. შეირჩა ხმის დამთვლელი კომისია და გამოცხადდა კონფერენციის დღის წესრიგი. მაყვალა მაძღარაშვილმა დედოფლისწყაროს რაიონული ორგანიზაციის მიერ გაწეულ საქმეებზე გააკეთა მოხსენება და დაწვრილებით აუხსნა პედაგოგებს, სად მიდის პროფკავშირების საწევროს თითოეული თეთრი, რომელსაც პედაგოგები იხდიან ყოველთვიურად. ჯერ მხოლოდ ამ წელს დედოფლისწყაროს პროფკავშირების რაიონულ ორგანიზაციას 12 ექსკურსია აქვს განხორციელებული პედაგოგებისთვის, წევრ პედაგოგებს ერგებათ კოჯორის და სხვა დასასვენებელ კურორტებზე 50%-იანი ფასდაკლებით დასვენების საშუალება. არაერთ პედაგოგს გაეწია უფასო იურიდიული მომსახურება, გადამზადდა პედაგოგთა უამრავი ჯგუფი, რაც მომავალშიც გაგრძელდება. მთლიანობაში 2012 წლიდან დღემდე საქართველოს პროფკავშირს აღდგენილი ჰყავს 27 უსამართლოდ გათავისუფლებული პედაგოგი, რაც აშკარად მეტყეველებს მათ ბრძოლისუნარიანობასა და იურიდიულ ცოდნაზე.

მოწინავე სოფელთა შორის დასახელდა ქვემო ქედის პედაგოგიური კოლექტივი. როგორც აღინიშნა, ქვემო ქედის სკოლის ყველა მასწავლებელი უპირობოდ გაწევრიანდა პროფკავშირში. სიახლე გახლდათ ისიც, რომ დედოფლისწყაროს ახლადშექმნილი წმინდა ვახტანგ გორგასლის სახელობის საეკლესიო სკოლა-ლიცეუმი შემოუერთდა დედოფლისწყაროს რაიონულ ორგანიზაციას და მათი ყველა პედაგოგი სპმთპ-ს წევრი გახდა. სწორედ მათი დირექტორის ქალბატონ თეა სხირტლაძის ინიციატივით, აღნიშნული შეხვედრისთვის სიამოვნებით დაუთმეს დარბაზი პედაგოგებს. ეს გახლდათ სიკეთით გაწვდილი ხელი, რომელიც გამოხატავდა კეთილ ნებას, რათა მათი სკოლის პედაგოგებმა გაიცნონ სხვა სკოლების პედაგოგები და ითანამშრომლონ მათთან.

ყრილობაზე პრობლემებიც დასახელდა. გამოითქვა გულისტკივილი, რომ რაიონში სულ 430-მდე პედაგოგია, მათგან კი, პროფკაშირებში გაწევრიანებულია მხოლოდ 260. გულისტკივილი გამოითქვა იმასთან დაკავშირებით, რომ პროფკავშირების გარეშე, რატომღაც, მხოლოდ ზემო ქედის მეორე საჯარო სკოლა აღმოჩნდა, რომლის არცერთი პედაგოგი, გაურკვეველი მიზეზების გამო, არ გაწევრიანდა სპმთპ-ში. ქალბატონმა მაყვალამ მოუწოდა ყველა წევრს , მეტი აქტიურობა შეიტანონ საკუთარ კოლექტივებში და მეტი პედაგოგი დააინტერესონ სპმთპ-ის წევრობით. რადგან, რაც უფრო მეტი პედაგოგი გაწევრიანდება პედაგოგთა პროფესიულ კავშირში, მით მეტი უფლებამოსილება ექნება მათ ორგანიზაციას, რომელიც სწორედ პედაგოგის უფლებების გაძლიერებისთვისაა მომართული.

ამით პედაგოგები გარკვეულ წვლილს შეიტანენ ქვეყნის მშენებლობის საკითხში. ყრილობაზე ოვაციით შეხვდნენ იმ სიახლეს, რომელიც წინა დღეებში ჩვენი პრემიერის მიერ გაჟღერდა ტელეეთერით, რომ პედაგოგებს ამ წელში 65 %-იანი სახელფასო ანაზღაურების ზრდა აქვთ. პრობლემა აღმოჩნდა ასევე ის, რომ დედოფლისწყაროს რაიონულ ორგანიზაციას არ აქვს საკუთარი ოფისი, რაზეც მათ ხელმძღვანელობის დახმარება ესაჭიროებათ. ბოლოს, ორწლიანი ვადით, მოხდა რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის არჩევა, სადაც კვლავ უკონკურენტო აღმოჩნდა ქალბატონი მაყვალა მაძღარაშვილი. ქალბატონი მაყვალა აირჩიეს ასევე საქართველოს პროფკავშირების ყრილობის დელეგატადაც დედოფლისწყაროდან.

შეხვედრას ესწრებოდნენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დედოფლისწყაროს სერვისცენტრის დირექტორი ქალბატონი ეთერ ზურიკაშვილი და გამგეობის კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და განათლების სამსახურის უფროსი სპეციალისტი, ღვაწლმოსილი პედაგოგი ნანული ნატროშვილი. ორივე დამსწრე წევრმა, კიდევ უფრო მეტი თანადგომა გამოუცხადა რაიონულ ორგანიზაციას, აღუთქვა, რომ ერთობლივი თანამშრომლობით მეტს მიაღწევენ, ხოლო პედაგოგებს მოუწოდეს, რომ უფრო მეტი გაწევრიანდეს სპმთპ-ს ორგანიზაციაში, რათა შეძლოს მეტი წინსვლა, პროფესიული ზრდა და მეტი სტიმული პროფესიული მოვალეობის შესრულების თვალსაზრისით.

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდნენ არბოშიკის სკოლის დირექტორი მანანა ჭიღიტაშვილი, ამავე სკოლის დაწყებითი კლასების ღვაწლმოსილი პედაგოგი ნუნუ გოგაშვილი, პირველი საჯარო სკოლის პედაგოგი ჯულიეტა პოპიაშვილი, ზემო მაჩხაანის სკოლის პედაგოგი ნეჟნა ჩუბინიძე, ოზაანის სკოლის პედაგოგი ნანა ოზაშვილი, მეორე საჯარო სკოლის პედაგოგი მზია ხატიაშვილი, რომლებმაც მადლობა გადაუხადეს პროფკავშირების ცენტრალური ორგანიზაციის ხელმძღვანელს მაია კობახიძეს და დედოფლისწყაროს რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეს მაყვალა მაძღარაშვილს საქართველოს სხვადასხვა საკურორტო ადგილებში მათთვის გაწეული საინტერესო ტრენინგებისთვის და არაერთი ლამაზი საღამოსა თუ შეხვედრისთვის, რომელიც მათი ორგანიზაციის მიერ იქნა დაფინანსებული და ორგანიზებული.

ლალი მეხრიშვილი

„დიახ, ვაზია ლხინის ღმერთი, ლხინის უფალი!"...

30 ნოემბერს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ჩატარდა ღონისძიება "საგალობელი ვაზისა", სადაც მონაწილეობდნენ სხვადასხვა ასაკის მოსწავლეები სხვადასხვა სკოლებიდან. საქართველოში ვაზი მუდამ წმინდა, ღვთაებრივ მცენარედ იყო მიჩნეული, არ გაუვლია ქართულ მიწაზე უცხოელ მოგზაურს, რომ ქართული ღვინის სიკეთით განცვიფრებულს, ქებითა და დიდებით არ მოეხსენებინოს იგი. სხვა არცერთ ქრისტიანულ ქვეყანაში არ არსებობს "ვაზის ჯვრის კულტი", მას მიეძღვნა არაერთი საგალობელი, მათ შორის გამორჩეულია დემეტრე უფლისწულის "შენ ხარ ვენახი", რომელიც ღვთისმშობელს მიეძღვნა.

....ფოთლების ფარდა...გოდორი, ქვევრი, დოქი, ჭიჭლები და ჭინჭილები, ვაზები, ბჟუტავს სანთელი, შუაში ვაზის ხე დგას, ეს ის ულამაზესი ფონია, რომელიც მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სააქტო დარბაზში შესვლისთანავე გჭრის თვალს. წელიწადის უმშვენიერეს დროსშემოდგომას, რომელიც ყოველთვის ასოცირდება დოვლათის, სიუხვის, მოსავლის, სიმდიდრის და რთველის სიმბოლოდ, ოდნავ შეცვლილი თემატიკით გვილოცავენ მოსწავლე -ახალგაზრდობის სახლის მოსწავლეები. რადგან კახეთში რთველი შემოდგომის გვირგვინია, ხოლო მისი უკვდავი სიმბოლო ვაზია, ღონისძიებაც "საგალობელ ვაზისას" ეძღვნება.

მოსწავლეებმა მოწვეულ სტუმრებს დეკლამატორული ნიჭის თანხლებით უამრავი ხალხური გამონათქვამი, ლექსი და ანდაზა შეახსენეს ვაზსა და ღვინოზე, შეახსენეს მრავალი მხატვრის შთაგონების წყაროდ ქცეულ ვაზზე რამდენი ნახატი აქვს ფიროსმანს შექმნილი, რომ მათგან განსაკუთრებით გამორჩეულია "ქეიფი რთველში".

კიდევ ერთხელ მოგვითხრეს ვაზის ორნამენტებით ამოტვიფრულ ეკლესია-მონასტრებსა თუ ციხე-ტაძრებზე, ვაზისადმი მიძღვნილ კინოფილმებზე, ნაწარმოებებზე...

„დიახ, ვაზია ლხინის ღმერთი,
ლხინის უფალი,
ჯირნახულის და ჯირ-ვარამის ჯირისუფალი..."

დიახ, ქართული მიწის განუყოფელი ნაწილია ვაზი და ღვინო. მას ქართველი ხალხის ეკონომიკური ძლიერების განმტკიცებაში ყოველთვის უდიდესი როლი ენიჭებოდა. წმინდა ხედ აღიარებულ ერის სიმბოლოზე კი მეურნე კაცი შვილივით ზრუნავდა, მასში ქართველი თავის ვაჟკაცურ და ამაღლებულ სულსაც ხედავდა. მსოფლიოში სიტყვა „ღვინო" ქართველთაგან არის გავრცელებული და მისგან მოდის ღვინის ყველა დასახელებაც.

ღონისძიება მოამზადა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ღვაწლმოსილმა პედაგოგმა ნინო სიფრაშვილმა, ხოლო მუსიკალური გამფორმებელი გახლდათ მუსიკის მასწავლებელი შორენა ასანიშვილი. "კინტაურის" ფორმასა და ფიალებით ხელში გამოწყობილმა პატარებმა უამრავი სადღეგრძელო უძღვნეს ვაზს, როგორც ქართველის ღირსებას და პატივს, მუსიკის ჰანგების თანხლებით წარმოთქმულმა სადღეგრძელოებმა, "ყარაჩოხლების"მიერ შესრულებულმა ცეკვამ და სიმღერებმა ფანდურზე განსაკუთრებული დატვირთვა შესძინა ღონისძიებას.

ღონისძიებას ესწრებოდნენ სააღმზრდელო ცენტრის ხელმძღვანელი მაია ყოჩიაშვილი, საგანმანათლებლო რესურსცენტრის დირექტორი ეთერ ზურიკაშვილი, მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლები და სხვა მოწვეული სტუმრები.

ელზა ხარაშვილი

ახალი პედაგოგიური მიდგომები და მეთოდები ბაგა-ბაღებში

ბოლო დროს ბავშვის აღზრდის დიდაქტიკაში დიდი ცვლილებები განხორციელდა. ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საბავშვო ბაღებში. მეცადინეობები, რომლებიც ბაგის ასაკიდან თითქმის ყველა ჯგუფში აქტივობებთან ერთად ტარდება, საკმაოდ საინტერესოა, მრავალფეროვანი და ბავშვის ფსიქოლოგიურ თუ შემეცნებით განვითარებაზე ორიენტირებული. თუ კარგად დავაკვირდებით მათი სწავლების და მომზადების მეთოდს, მივხვდებით, რომ ამდენი ინფორმაცია, რაც დღევანდელმა ბავშვებმა იციან, წინა თაობებს არ გააჩნდათ. კარგია თუ ცუდი ბავშვებისთვის ეს შემეცნება, ამაზე პედაგოგების სხვადასხვა ნაწილს სხვადასხვა შეხედულება აქვს. მართალია, მშობლებს უხარიათ, რომ მათმა შვილმა ბევრი რამ იცის, თუმცა ზოგიერთ პედაგოგს არ მოსწონს, რომ ბავშვებმა ბაღშივე იციან იმდენი, რაც პირველი კლასის მოსწავლეს ევალება, ხოლო, პირველ კლასში სწავლებისას მისი ცოდნა მიახლოებულია უკვე მეოთხე კლასის მოსწავლის ცოდნასთან. არიან პედაგოგები, რომლებიც ამას დადებითად აფასებენ და უხარიათ, რომ მათმა აღზრდილებმა ბევრი რამ ისწავლეს, თუმცა არიან პედაგოგები, რომლებიც ამას დიდაქტიკური თალსაზრისით არ იზიარებენ და თვლიან, რომ ამით ბავშვის გონებას ზედმეტად ტვირთავენ. ისინი არ ემხრობიან გადაჭარბებული ინფორმაციის მიწვდას ბავშვებისთვის, რომლებისთვისაც ჯერ კიდევ ნაადრევია ამა თუ იმ პროგრამის ათვისება და თვლიან, რომ შესაძლოა, ბავშმა ამჯერად კარგად აითისოს ყოველივე, თუმცა, ამან გაცილებით ცუდად იმოქმედოს, გადაღალოს და დამანგრევლად ომოქმედოს პატარის შემდგომი მეხსიერების სისიხარტის განვითარებაზე.

ამ ფონზე თანამედროვე საბავშვო ბაღების პედაგოგიკაში ანსხვავებენ ორ მიმდინარეობას: ვალდორფის პედაგოგიკას და მონტესორის პედაგოგიკას. ვალდორფის პედაგოგიკის მიხედვით, ადამიანის ცხოვრებაში სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს პირველ შვიდწლეულს, ანუ სკოლამდელ ასაკს. ეს არის ძირითადად ფიზიკური სხეულის ჩამოყალიბების პერიოდი და ბავშვი შინაგანი ძალებით მთლიანად ემსახურება ამ ამოცანას. რაც განვითარების ამ პერიოდში აისახება, იქნება ეს პოზიტიური თუ ნეგატიური, ადამიანს მთელი ცხოვრების მანძილზე მიჰყვება. სწორედ ამ პერიოდში ხდება ისეთი უმნიშვნელოვანესი ადამიანური უნარების ჩამოყალიბება, როგორიც არის გამართული სიარული, ჯდომა, მეტყველება და აზროვნება. ამავე დროს ყალიბდება საკუთარი თავის განცდა გარე სამყაროსთან მიმართებაში, საფუძველი ეყრება ადამიანის სოციალურობას. ამ ასაკში მიღებული ჩვევები, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ადამიანს მთელი ცხოვრების მანძილზე მიჰყვება. ეს არის ასაკი, როდესაც ინტელექტის ძალები გარკვეულ ბუნებრივ განვითარებას განიცდის, ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ბავშვი ზედმეტად არ გადაიტვირთოს ინტელექტუალურად, რადგან ეს მის ფიზიკურ განვითარებაზე უარყოფითად აისახება.

ხოლო, მონტესორის პედაგოგიკის საფუძველია სპეციალური განმავითარებელი გარემო, რომელშიც ბავშვი სასარგებლო თამაშებით სწავლობს, ვითარდება და ყალიბდება უფროსების ძალდატანების და უხეში ჩარევის გარეშე. გარემო დაყოფილია შესაბამის ზონებად, სადაც ხდება მოტორიკის, სენსორიკის, მეტყველების განვითარება, სწორი მათემატიკური აზროვნების ჩამოყალიბება, სამყაროს შესწავლა (ბიოლოგიის, გეოგრაფიის, ასტრონომიის საფუძვლები), კითხვის და წერითი უნარების ჩამოყალიბება, უცხო ენების საფუძვლების დაუფლება, კრეატიული და წარმოსახვითი აზროვნების განვითარება, პრაქტიკული ცხოვრების უნარ-ჩვევების გამომუშავება. თუ რომელი მიმდინარეობაა სწორი, ამაზე მე ვერ მივცემ თავს უფლებას ვიმსჯელო, თუმცა იმას კი ვიტყვი, რომ ჩვენს საბავშვო ბაღებში თამაშ-თამაშით ხდება გარკვეული უნარების სწავლება და ჩამოყალიბება, უფრო ზუსტად, ბავშვის იმ კონდინციამდე მიყვანა, რომ მისი გონება ბაღის დამთავრების შემდეგ, სკოლის პროგრამის ათვისებისთვის მზად იყოს. სწორედ ამ ეგიდით მიმდინარეობს სწავლება ჩვენს საბავშო ბაღებში, სადაც ბოლო დროს ხშირად ტარდება სხვადასხვა შინაარსის ღია გაკვეთილები.

გასულ კვირას ღია გაკვეთილებს დავესწარი №2 ბაგა-ბაღში, სადაც პედაგოგებმა თამილა ტუხაშვილმა, ქეთევან გიგოლაშვილმა, ნაიკო რეხვიაშვილმა და მეთოდისტმა ნათელა თამაზაშვილმა ღია გაკვეთილები ჩაატარეს.

ნაიკო რეხვიაშვილი 4-5 წლიანი ბავშვების ჯგუფში მუშაობს და მან თავის აღსაზრდელებთან ერთიდან ათამდე თვლაზე იმუშავა, შემდეგ ციფრი ოთხის სწავლა გაამყარებინა ბავშვებს და ციფრი ხუთი აუხსნა. ღია გაკვეთილზე ბავშვებმა თამაშ-თამაშით უპასუხეს მასწავლებელს კითხვებზე გეომეტრიული ფიგურების და მათი ფერების შესახებ. პატარებმა გეომეტრიული ფიგურები დიდ ქაღალდზე ლამაზად ჩააწებეს და ერთი დიდი კონსტრუქცია ააწყეს.

საკმაოდ საინტერესო და მაღალი დონის გაკვეთილი ჩაატარა გამოცდილმა პედაგოგმა და მეთოდისტმა ნათელა თამაზაშვილმა იგივე ჯგუფში, სადაც მან კომბინირებული გაკვეთილი ექსპერიმენტის სახით სცადა და ახალი ზღაპარი გააცნო პატარებს. მან ბავშვებს უცხოური ზღაპარი „შვიდფერა ყვავილი“ წაუკითხა, შემდეგ ზღაპარში მოცემული ბავშვებისთვის უცხო და ახალი სიტყვები განმარტა და კითხვებით გამოჰკითხა ბავშვებს ის, თუ რა გაიგეს მათ ამ ზღაპრიდან. საინტერესო გახლდათ ნათელა მასწავლებლის მიერ გრძელი და მოკლე თოკის თვალსაჩინოების წარმოდგენით გრძელისა და მოკლეს ახსნა, ვიწრო და ფართო ქაღალდის ჩვენებით ვიწროსა და ფართოს ახსნა. დიდი მატარებლისა და პატარა მანქანის ჩვენებით კი, პატარის და დიდის გარჩევა. ქალბატონი ნათელა მეცადინეობების დროს ბავშვების ყურადღებას ადუნებდა და სთხოვდა, შეესვენათ და ცოტა წაევარჯიშათ, რაც პირდაპირ იყო გათვლილი იმაზე, რომ აღსაზრდელები არ გადაღლილიყვნენ მოსმენით. საკმაოდ სახალისო და აქტივობებით დატვირთული გაკვეთილი ნათელა მასწავლებლის სახალისო გასეირნებით დასრულდა, მან ბავშვები ჩაიბა და მატარებლის მსგავსად კლასიდან გარეთ, აივანზე გაიყვანა, სადაც პატარებმა სუფთა ჰაერიც ჩაყლაპეს, გახალისდნენ, გაითამაშეს და კლასში სიხარულით დაბრუნდნენ.

კიდევ უფრო საინტერესო აღმოჩნდა პედაგოგ ქეთევან გიგოლაშვილის ღია გაკვეთილი. მან თავის აღსაზრდელებს ნაძვის ხე მოუმზადა, რომელზეც გირჩები იყო დამაგრებული, ზოგიერთი გირჩი იატაკზე ჩამოცვენილიყო, პედაგოგმა კალათა მიაწოდა ბავშვებს და სთხოვა, გირჩები ისე აეკრიფათ, რომ კალათაში ჩაეთვალათ. ჭერზე ძაფით დაკიდული გახლდათ ფერად-ფერადი გეომეტრიული ფიგურები, პედაგოგმა კლასში ქაღალდის დიდი კამათელი შემოიტანა, რომელზეც გეომეტრიული ფიგურები იყო გამოსახული. მან პატარებს კამათელის გაგორება სთხოვა და რომელ ფიგურაზეც დაჯდებოდა კამათელი, სცენაზე გამოსული აღსაზრდელებიც იმ ფიგურას მოძებნიდნენ და პედაგოგის დახმარებით მაკრატლით ჭრიდნენ ჭერიდან. სახალისო გაკვეთილი გეომეტრიული ფიგურების განმტკიცებით და ახალი ფიგურის, წრის ახსნით დასრულდა, ამისთვის მათ თავზე საკლასო ოთახის ცენტრიდან დიდი ყვითელი მზე დაჰყურებდათ. წრე რომ მრგვალია და მას შეუძლია გაგორდეს, ამის უკეთ ასახსნელად პედაგოგმა წელზე დასატრიალებელი რგოლი აჩვენა ბავშვებს. მან რგოლი გააგორა, დაატრიალა და აუხსნა, რომ მრგვალი ფიგურა გორავს, ხოლო კუთხოვანი – არა. კულმინაციისკენ აღსაზრდელებს კიდევ ერთი სიურპრიზი ელოდათ, კლასის შუაში პედაგოგს მომზადებული ჰქონდა საინი, რომელზეც ეყარა შავი სილა, მასწავლებელმა პატარები სათითაოდ გამოიძახა და ამ საინზე, სილაში საჩვენებელი თითით წრის შემოხაზვა სთხოვა, რასაც ისინი დიდი ხალისით ასრულებდნენ. გაკვეთილი მუსიკის ფონზე დასრულდა, როდესაც ისინი პედაგოგის მიერ გამოჭრილ ფერად-ფერადი ქაღალდების ბურთებს ერთ დიდ თეთრ ქაღალდზე აკრავდნენ, რითაც მათ მთლიანობაში ჭიანჭველა გამოხატეს, ბოლოს კი, წრის უკეთ გასაცნობიერებლად ქაფიანი ბუშტები გაუშვეს, რითაც კიდევ ერთხელ კარგად განამტკიცეს და გაითავისეს სამყაროში წრის მრავალფეროვანი სახით არსებობა.

ამავე დღეს ღია გაკვეთილი წარმოადგინა პედაგოგმა თამილა ტუხაშვილმა. მან 2-3 წლიანთა ბაგის ჯგუფში კვადრატი ახსნა, ბავშვებს თავზე ქაღალდის გვირგვინები ეკეთათ, რომელზეც მათემატიკური ციფრები იყო გამოსახული, ციფრები ერთი, ორი, სამი მათ კარგად აუთვისებიათ, ამიტომ გირჩების, ფულაჟების და კენჭების ნაშალში მათ უკვე შეეძლოთ ამოერჩიათ პედაგოგის მიერ მოთხოვნილი ნივთები. მათ იცოდნენ ორი ბანანის ამორჩევა, ოთხი მარწყვის ან ერთი გირჩის გამოყოფა სხვებისგან. აღსაზრდელებს რიცხვების შესახებ ლექსებიც გაუზეპირებიათ, ხოლო გეომეტრიული ფიგურები ფერებისა და ფიგურათა მსგავსების მიხედვით დააჯგუფეს კიდეც.

ღია გაკვეთილებს ცოდნა- გამოცდილების გაზიარების მიზნით ესწრებოდნენ დედოფლისწყაროს N1, N3,N 4, სამრეკლოს, გამარჯვების და ხორნაბუჯის ბაგა -ბაღის დირექტორები და პედაგოგები.

მთელი კვირის მანძილზე N2 საბავშვო ბაგა-ბაღის ღია გაკვეთილებს სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრიდან ესწრებოდნენ ეთერ ათანელიშვილი, ეკატერინე პოპიაშვილი, ნინო კვიწინაშვილი, მაია ცოგოშვილი. დამსწრე საზოგადოებამ და თავად ამ ბაგა-ბაღის დირექტორმა ქალბატონმა მანანა ტოკლიკიშვილმა დადებითად შეაფასა თითოეული პედაგოგის ნამუშევარი და მადლობა გადაუხადა მათ გაწეული შრომისთვის.

ლალი მეხრიშვილი

საგზაო უსაფრთხოება საქართველოში – საჭე მარცხნივ თუ მარჯვნივ?

საქართველოს მთავრობა 2016 წლიდან აპირებს აკრძალოს ქვეყანაში მარჯვენასაჭიანი ავტომობილების რეგისტრაცია. ეს სიახლე ნაწილია საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პროგრამისა, სახელწოდებით „შენი გულისთვის, შენი უსაფრთხოებისთვის“, რომლის პრეზენტაციაც შინაგან საქმეთა სამინისტროში 3 დეკემბერს გაიმართა. პროგრამა ითვალისწინებს ავტოსაგზაო შემთხვევების მთავარი მიზეზების წინააღმდეგ ადმინისტრირების გაუმჯობესებას, სამგზავრო ავტობუსების მოძრაობაზე კონტროლის გააქტიურებას,ავტოპარკის განახლების წახალისებას, ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოებისთვის კანონმდებლობის გამკაცრებას... საქართველოს მთავრობაში ასევე აცხადებენ, რომ ჰაერის მთავარი დამაბინძურებელი დედაქალაქში მომრავლებული ავტომობილებია და სწორედ ამიტომ არის საჭირო ეტაპობრივად ავტოპარკის განახლება, ტექდათვალიერების შემოღება და საწვავის ხარისხის მუდმივი კონტროლი. შინაგან საქმეთა სამინისტრო კი საგზაო უსაფრთხოების პრობლემებზე ლაპარაკისას ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სტატისტიკას იშველიებს, რომლის მიხედვით, საქართველო, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შედეგად სიკვდილიანობის მაჩვენებლით, 10 ყველაზე მაღალი რისკის მქონე ქვეყანას შორისაა.

ბექა გოქსაძე 13 წელია ავტომობილს მართავს. მართალია, მარჯვენასაჭიანი მანქანა არასდროს ჰყოლია, მაგრამ, მრავალწლიანი გამოცდილების გამო, არც მისი მართვა უჭირს. მისი აზრით, ასეთი ავტომობილი ყველაზე დიდ დისკომფორტს მძღოლს ავტომაგისტრალზე უქმნის, რადგან მას უჭირს შემხვედრი ავტომობილის დროულად შემჩნევა და კონტროლი. თუმცა ბექა ეჭვობს, რომ საგზაო შემთხვევების უმრავლესობაში „დამნაშავე“ სწორედ მარჯვენასაჭიანი ავტომობილი და მისი მძღოლი იყოს. რაც შეეხება საქართველოს მთავრობის ინიციატივას, მარჯვენასაჭიანი ავტომობილების რეგისტრაციის აკრძალვის თაობაზე, ბექა გოქსაძის აზრით, ეს, შესაძლოა, მოძრაობის მოწესრიგებას უფრო ემსახურებოდეს, ვიდრე მანქანების რიცხვის შემცირებას და მოძრაობის განტვირთვას:

„თუ არგუმენტად მთავრობას ის მოჰყავს, რომ მარჯვენასაჭიანი ავტომობილი უფრო იაფია და ბევრი ადამიანი ყიდულობს, მაშინ იაფი ავტომობილების ჩამოყვანა ამერიკიდანაც შესაძლებელია და ევროპიდანაც. მე მგონია, რომ ეს გადაწყვეტილება უფრო მოძრაობის მოწესრიგებას ემსახურება, რადგან საქართველოში მარცხენასაჭიან ავტომობილებზე მორგებული მოძრაობაა“.

2016 წლიდან მარჯვენასაჭიანი ავტომობილების რეგისტრაციის აკრძალვის შესახებ ინფორმაცია საქართველოს მთავრობას შს მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა 3 დეკემბერს მთავრობის სხდომაზე მიაწოდა და იქვე განმარტა, რომ ახალი წესი არ შეეხებათ საქართველოს იმ მოქალაქეებს, ვისაც ამ დრომდე უკვე ჰყავს მარჯვენასაჭიანი ავტომობილი:

„მარცხენასაჭიანი რეგისტრირებული ავტომობილების მფლობელებს, ასევე მათ, ვისაც გადატანილსაჭიანი ავტომობილები ჰყავთ, ეს ცვლილება არ შეეხებათ. მათ შეუძლიათ მთელი ცხოვრება გამოიყენონ ეს მანქანები, ჩვენ მათ არ ვეხებით, მაგრამ იმ თარიღის შემდეგ, რაზეც შევთანხმდებით, მარჯვენასაჭიანი ავტომობილების რეგისტრაცია საქართველოში აიკრძალება“.

ინიციატივა მოინონა პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმაც და განაცხადა, რომ ამ საკითხზე სასწრაფო რეაგირებაა საჭირო, მით უმეტეს, თუ დედაქალაქში შექმნილ ეკოლოგიურ მდგომარეობას გავითვალისწინებთ:

„ეკოლოგიის კუთხითაც თბილისში კატასტროფული მდგომარეობა გვაქვს. ყველა ჩივის, რომ ავტომობილების უმრავლესობას არა აქვს ე. წ. კატალიზატორი, რომელიც გამონაბოლქვს ფილტრავს. ასევე მინდა გთხოვოთ, გაგრძელდეს საწვავის ხარისხის გეგმიური შემოწმება, რომელიც ჩვენ უკვე დავიწყეთ“.

ჰაერის ძირითადი დამაბინძურებელი წყარო რომ სწორედ ავტომობილებია, ეს 3 დეკემბრის მთავრობის სხდომაზე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა გიგლა აგულაშვილმაც დაადასტურა და საქართველოს რამდენიმე ქალაქში ჩატარებული გამოკვლევების შედეგებიც მოიშველია:

„ასეა თბილისშიც, რაც ავტოპარკის სიძველით არის გამოწვეული. საწვავის ხარისხთან ერთად დიდი პრობლემაა გამონაბოლქვში იმ ტოქსიკური აირების შემცველობა, რომელიც საწვავის არასრული წვის შედეგია. იმისათვის, რომ თბილისში ჰაერის მდგომაროება გამოსწორდეს, საჭიროა ეტაპობრივად გადავდგათ შესაბამისი ნაბიჯები და ნელ-ნელა შევცვალოთ მოძველებული ავტოპარკიც“.

გარემოს დაცვის სამინისტრომ პარლამენტს განსახილველად უკვე წარუდგინა “ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში” შესატან ცვლილებათა პაკეტი, რომლის თანახმად, ისეთი ბენზინისა და დიზელის საწვავის საქართველოში იმპორტი, რომლის ხარისხიც მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ ნორმებს ვერ აკმაყოფილებს, 10 000 ლარით დაჯარიმდება, ხოლო ისეთი ბენზინის ან დიზელის საწვავის საქართველოს ტერიტორიაზე წარმოება, რომლის ხარისხიც ასევე ვერ აკმაყოფილებს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ ნორმებს, 9 000 ლარით დაჯარიმდება, ამგვარი საწვავის შენახვა და მიწოდება კი - 8 000 ლარით.

საქართველოს მთავრობაში მიიჩნევენ, რომ საგზაო უსაფრთხოების დაცვა და მოწესრიგება, ავტოპარკის გადახალისება, საწვავის ხარისხის კონტროლი რამდენიმე წახნაგია ერთი დიდი სისტემური პრობლემისა, რომელიც ეტაპობრივად უნდა მოგვარდეს. თუმცა მოგვარების გზებს ჰყავს როგორც მომხრეები, ისე - პირიქით. მაგალითად, „ეკო ტრანსპორტ ცენტრის“ აღმასრულებელი დირექტორი ვასო ურუშაძე კატეგორიულად არ ეთანხმება მარჯვენასაჭიანი ავტომობილების რეგისტრაციის აკრძალვას. ამბობს, რომ ეს ადამიანების არჩევანის თავისუფლების შეზღუდვაა, რაც თბილისში არსებულ პრობლემებს მაინც ვერ მოაგვარებს, და მოუწოდებს პარლამენტარებს მხარი არ დაუჭირონ ამ ინიციატივას:

„ხელისუფლებას რა გათვლაც აქვს, რომ ამ ახალი წესით ავტომობილების ზრდის ტენდენციას შეაჩერებს, ამას ამ გზით ვერ მივაღწევთ. სამაგიეროდ, მივიღებთ იმას, რომ, შედარებით მოწესრიგებული ავტომობილის ნაცვლად, ქვეყანაში შემოვა ბევრად უფრო ამორტიზებული ავტომობილები, რომლებიც უფრო ბევრს წვავენ, ბევრი აქვთ გარბენი და ტექდათვალიერების შემთხვევაშიც ასეთი მანქანები უფრო ვერ დააკმაყოფილებენ მოთხოვნებს, ვიდრე მარჯვენასაჭიანი, იაპონიიდან ჩამოყვანილი, გაცილებით მოწესრიგებული და უსაფრთხო მანქანები“.

საწინააღმდეგო აზრისაა გელა კვაშილავა, დამფუძნებელი ფონდისა

„პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისათვის“. მისი თქმით, ყველა ქვეყანამ უნდა ამოირჩიოს თავისი საგზაო მოძრაობის სისტემა, უნდა გადაწყვიტოს, მარჯვენა მხარეს ირჩევს პრიორიტეტად თუ მარცხენას. ეს არჩევანი საფრთხეს ამცირებს:

„ჩვენი ინფრასტრუქტურა ამ მანქანებზე მორგებული არ არის. გარდა ამისა, სტატისტიკამაც აჩვენა, რომ ავტოავარიების 35-40 % ერთი ხაზიდან მეორეში გადასწრებაა, მაშინ როდესაც მძღოლი გზას ვერ აკონტროლებს. ხშირია საჭის ხელოვნურად გადატანის ფაქტები და ეს მაშინ, როდესაც ამას ხელსნები კუსტარულად აკეთებენ და არავითარი ცენტრი არ არსებობს. და ეს მხოლოდ პრობლემების ერთი ნაწილია. საჭიროა, რომ ამ პროგრამით ერთხელ და სამუდამოდ მოგვარდეს საქართველოში საგზაო უსაფრთხოების საკითხი, რომ ამდენი ოჯახი არ გაუბედურდეს და ყოველწლიურად ავტოავარიას ამდენი ადამიანი არ ემსხვერპლოს“.

გელა კვაშილავას განცხადებით, დღეს საქართველოში ავტომობილების საერთო რაოდენობის 29 % მარჯვენასაჭიან მანქანებზე მოდის და თუ მათი შემოყვანა ისევ ისე გაგრძელდა, ორ-სამ წელიწადში მათი რაოდენობა 50 %-ს მიაღწევს და ეს იმ დროს, როდესაც საქართველოს საგზაო მოძრაობა მარცხენასაჭიან ავტომობილებზეა გათვლილი.

რა უნდა ვიცოდეთ კლიმატის ცვლილებაზე

ამ დღეებში პარიზში, კლიმატისადმი მიძღვნილ სამიტზე, მსოფლიო თანამეგობრობის წარმომადგენლები შეეცდებიან მიაღწიონ შეთანხმებას ატმოსფეროში ნახშირბადის ემისიის შემცირების შესახებ.

მეცნიერები დიდი ხანია გვაფრთხილებენ, რომ თუკი გაგრძელდება ე.წ. სათბურის ეფექტის გამომწვევი გაზების ემისია, გავცდებით ზღვარს, რომლის შემდეგაც გლობალური დათბობა კატასტროფული და შეუქცევადი შეიძლება გახდეს.

ამ დადგენილი ზღვარის მიხედვით, დედამიწაზე საშუალო ტემპერატურის მატებამ 2 გრადუსს არ უნდა გადააჭარბოს პრეინდუსტრიულ მაჩვენებელთან შედარებით. არადა მეცნიერთა თანახმად, ტემპერატურის მატების ამჟამინდელ ტრაექტორიას 5-გრადუსიანი მატებისკენ მივყავართ. ეს ძალიან მაღალი მაჩვენებელია და, სპეციალისტთა აზრით, სახიფათო შედეგები შეიძლება მოჰყვეს.

კლიმატის თაობაზე გლობალური შეთანხმების თემაზე უკვე დიდი ხანია მსჯელობენ. ფიზიკოსები ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში ლაპარაკობდნენ სათბურის ეფექტის გამომწვევი გაზების საფრთხეზე. მაგრამ ეს თეორიულ დონეზე ხდებოდა.

მხოლოდ უკანასკნელი რამდენიმე ათეული წელია, რაც მეცნიერები ნახშირბადის ემისიის გაზომვას და ამასთან დაკავშირებული კლიმატური პროცესების ზუსტ აღწერას შეუდგნენ. რაც მთავარია, საყოველთაოდ შეთანხმდნენ, რომ ნამარხი ენერგომატარებლების გამოყენების შედეგად ატმოსფეროში გაზების ემისიას დედამიწაზე ტემპერატურის მატებასთან მივყავართ.

დედამიწის საშუალო ტემპერატურა სხვადასხვაგვარი სიჩქარით იცვლება, მაგრამ ის არ იკლებს და, რაც ყველაზე უფრო შემაშფოთებელია, ერთ დონეზეც არ ჩერდება, ის განუხრელად იმატებს. განსაკუთრებით საგანგაშოდ მიიჩნევენ კლიმატის სპეციალისტები უკანასკნელი ორი წლის მაჩვენებლებს.

კლიმატური ცვლილებების წინააღმდეგ საბრძოლველად აქამდე მთელი რიგი ზომები იქნა მიღებული გლობალურ დონეზე. 1992 წელს რიო-დე-ჟანეიროში გაიმართა სამიტი, რომელზეც მიღებულ იქნა კლიმატური ცვლილების თაობაზე ჩარჩო კონვენცია. ეს დოკუმენტი ხელმომწერებს მოუწოდებდა კლიმატისთვის საზიანო ქმედებებისგან თავის შეკავებისკენ, მაგრამ არ აზუსტებდა, რა იყო გასაკეთებელი.

შემდგომმა ხუთმა წელმა ჩაიარა იმაზე დავაში, თუ ვის რა მოეთხოვებოდა, რა პასუხისმგებლობა უნდა დაკისრებოდათ მდიდარ ქვეყნებს და რა - ღარიბებს.

ეს დავა 1997 წელს ე.წ. კიოტოს პროტოკოლით დაგვირგვინდა. შეთანხმდნენ, რომ ემისია 2012 წლისთვის 5 პროცენტით უნდა შემცირებულიყო 1990 წლის დონესთან შედარებით. ყოველ სახელმწიფოს დაუდგინდა ემისიის შემცირების სასურველი დონეები. მაგრამ განვითარებად ქვეყნებს უფლება მიეცათ, კვლავაც გაეგრძელებინათ ნახშირბადის ემისია შეზღუდვების გარეშე.

მართალია, აშშ-ის ვიცეპრეზიდენტმა ელ გორმა ხელი მოაწერა პროტოკოლს, მაგრამ მალევე ნათელი გახდა, რომ აშშ-ის კონგრესი რატიფიკაციას არ გაუკეთებდა დოკუმენტს. არადა პროტოკოლი კანონის ძალას ვერ მიიღებდა, სანამ მას რატიფიკაციას არ გაუკეთებდნენ ქვეყნები, რომლებზეც მსოფლიო ემისიის 55 პროცენტი მოდის. აშშ-ის გარეშე ეს დოკუმენტი განწირული იყო.

გლობალური შეთანხმების მიღწევის მცდელობები ამის შემდეგაც იყო. მაგალითად, ბალის 2007 წლის სამოქმედო გეგმა და კოპენჰაგენის 2009 წლის კონფერენცია. კოპენჰაგენის სამიტზე, რომელსაც დიდ იმედებს უკავშირებდნენ, გარღვევა არ მოხდა და ვერ იქნა მიღებული სეროზული შეთანხმება. თუმცა შეთანხმდნენ ემისიის შემცირების დონეებზე.

როგორც გაეროს ეგიდით ჩატარებულმა ანალიზმა აჩვენა, ამ დადგენილი დონეების დაცვის შედეგად, ტემპერატურა 2,7-დან 3,3 გრადუსამდე გაიზრდება. ეს მეტია, ვიდრე დასაშვები 2 გრადუსი. ამიტომაც ბევრი ქვეყანა მოითხოვს, დონეების ხელახლა დადგენა მოხდეს ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ.

თუკი პარიზის სამიტზე მოხერხდება ყველა ქვეყნის თანხმობის მიღწევა კლიმატური ცვლილებების წინააღმდეგ ქმედითი ზომების გასატარებლად, ეს მაინც არ არის საკმარისი. მთავარი პრობლემა არის ამ დაპირებების და გეგმების განხორციელება, უფრო ზუსტად კი - დაფინანსება. აქ ყურადღების ცენტრში არიან ღატაკი ქვეყნები, რომელთაც ეკონომიკის განვითარებისთვის აუცილებლად სჭირდებათ ენერგორესურსები. იმისთვის, რომ ღატაკმა ქვეყნებმა შეამცირონ სათბურის ეფექტის მქონე გაზების ემისია ისე, რომ ამან არ დააზარალოს მათი ეკონომიკა, ისინი მოითხოვენ, რომ მდიდარი ქვეყნები მათ ფინანსურად დაეხმარონ ეკოლოგიურად უვნებელი ტექნოლოგიების დანერგვაში. პარიზის სამიტის ერთ-ერთი მთავარი საკითხია, მიიღებენ თუ არა ღატაკი ქვეყნები ასეთ დაპირებას.

სათნოების სახლ „სავანეს“ მობინადრეები: ლიზიკო კოჭლამაზაშვილი, თებრო ზურიკაშვილი, რუიზან ფიროსმანაშვილი, ფატი და ლუიზა ზურაშვილები, თამარა მინდიკაური, ნინა ბურდული, დარიკო არაბული, ნორა ალადაშვილი, ქეთო გელაშვილი, თამრიკო კოხტაშვილი, მზია და თამრიკო ჯანყარაშვილები, თამრიკო ფოცხვერაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან და თანაგრძნობას უცხადებენ ნონა ნიკოაშვილს და მის ოჯახს სიძის (დის-ქმრის)

ლევან ჩალათაშვილის

გარდაცვალების გამო. დაიკრძალა 17 ნოემბერს, გურჯაანის რაიონის სოფელ კარდენახში.

დარეჯან პაპუაშვილის ოჯახი ღრმა მწუხარებით იუწყება, ხოშატი ღორაშვილის გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს უახლოეს მეგობარს ასია ელოიანს

მეუღლის

გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის და ხალხთა მეგობრობის მუზეუმის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ დალი ხუციშვილს ძმის

ვაჟა ხუციშვილის

გარდაცვალების გამო

თეთრ თოვაში

თეთრ თოვაში თეთრ ბილიკებს
მარტო შევრჩი,
თავს მხოლოდღა თეთრი დარდი
დამტრიალებს,
საგუნდაოდ ემაწვილივით გული
მერჩის,
და წლებს ხელში უხერხულად
ვატრიალებ.
თვალს ჩავუკრავ თეთრად მზი-
რალ თოვლის ზაპას,
და ბალღების ჟრიამული გამა-
ცილებს,
ჩავიცვლი და ჩავლილ დღეთა
ჩუმი ნატვრა,
თეთრ ღამეში თეთრადაც არ და-
მაძინებს.
რა ვქნა, როგორ არ გათავდა თე-
თრი დარდი,
რა ვქნა, როგორ არ თავდება
გზაი ესე,
მერამდენედ ბინდისფერად ჩამო-
ვღამდი,
მერამდენედ მზეს ღიმილი დავე-
სესხე.
მერამდენედ ვეუარე ნანატრ მზე-
რას,
მერამდენედ გამოვექეც ქარის
ამბორს...
ჩემგან სადღაც შორს წასული
ბედისწერა,
აღმა-დაღმა არხეინად დანავარ-
დობს.
თეთრ თოვაში თეთრ ბილიკზე
მარტო დავრჩი,
თავს მხოლოდღა თეთრი დარდი
დამტრიალებს,
საგუნდაოდ ძველებურად გული
მერჩის,
და... წლებს ხელში უხერხულად
ვატრიალებ.

ზიზო გურდული

ჩემი სახლი

როდესაც ადამიანები ჩვენს სახლზე ვლაპარაკობთ, ყოველთვის წარმოვიდგენთ ადგილს, სადაც ცხოვრების ყველაზე დიდ დროს ვატარებთ. ის თითოეული ჩვენთა-განისთვის მარტო მატერიალური მდგომარეობის განმ-საზღვრელი კი არაა, არამედ ის არის ჩვენი პირადი სი-ვრცე, იქ მცხოვრები ადამიანებით, სულიერი და უსულო საგნების ერთობლიობით. ალბათ მიმიხვდით, რისი თქმაც მინდა- ადამიანები მარტო იმ კედლებს კი არ ვეჩვევით, სადაც ყოველდღიურად გვიწევს ყოფნა, არამედ თითოეუ-ლი იმ განცდის თანამოზიარეცაა ჩვენი სახლი, რომელ-საც ყოველწუთიერად განვიცდით: ჩვენი სიხარულის, ბედნიერების, მწუხარების, ცრემლების... ძნელია, ორი სიტყვით გადმოსცე მთელი შენი ცხოვრების ყოველი დე-ტალი, მაგრამ ეს ყველაფერი ისედაც იცის შენმა სახლ-მა... და შენც ეჩვევი მას, სიხარულით ალამაზებ, ზრუნავ მასზე, როგორც სულიერზე, რომ რაიმე არ დაუშავდეს... მიჩვევა ხომ ყველაზე დიდი სიყვარულია... ასეა, შენი სი-ვრცის მიღმა დარჩენილებმა არ იციან, რას აკეთებ, როცა სამსახურიდან დაღლილი შინ ბრუნდები, როგორ ტირი ან განიცდი, როცა დაუმსახურებლად გატკენენ გულს, ან როცა საყვარელ ადამიანებს კარგავ... ამ ამბების ჩუმი და, ამავდროულად, ყველაზე ერთგული მოწმეა შენი სახლი, სადაც ამ მოგონებებთან და შენი ოჯახის წევრე-ბთან ერთად სახლობენ ის ნივთებიც, რომელთაც ასევე ეჩვევი და გიყვარდება... აქაა შენი და შენი წინაპრების ფოტოარქივი-სურათების ალბომი, რომელიც ბევრი ამ-ბის მომსწრეა და ყველაზე ღირებული .

მომისმენია იმ ადამიანებისთვის, რომელთაც სახლები დაკარგეს. ახლაც ყურში ჩამესმის მათი გაბზარული ხმა. ადამიანები ხმას დიდი ტრაგედიისას კარგავენ. სახლის დაკარგვა არანაკლები ტრაგედიაა-კედლებთან ერთად კარგავ ყველაფერს, რაც შენთვის ძალიან ახლობელია და საყვარელი... კარგავ იმ სიმყუდროვისა და დაცულობის შეგრძნებას, რომელიც მხოლოდ შენს სახლში გეუფლება...

იქნებ არც დავფიქრებულვართ, რატომაა ჩვენი სახლი ასეთი ღირებული...

ინგა შიოლაშვილი

ყურადღება!

საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სა-მინისტროს მხარდაჭერით C ჰეპატიტის ელიმინაციის პროექტის ფარგლებში საქართველოში 2015 წლის 1 ნოემბრიდან 2016 წლის თებერვლის ბოლომდე დაგეგმილია C ჰეპატიტის სკრინინგი.სა-ქართველოს ნემისმიერ მოქალაქეს შესაძლებლობა აქვს ჩაიტაროს უფასო სკრინინგული კვლევა დაავადებათა კონტროლისა და საზო-გადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ლაბორატორიებ-ში. დედოფლის წყაროს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოქალაქეებს C ჰეპატიტის სკრინინგული კვლევისთვის შეგიძლიათ მობრძან-დეთ ქ. დედოფლის წყაროს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრში მისამართზე: დედოფლისწყარო, ნიკორციხის ქ.49(საავადმყოფოს ტერიტორია). კვლევა ჩატარდება 2015 წლის 15 დეკემბერს, 2016 წლის 22 იანვარს, 2016 წლის 16 თებერვალს.

ულოცავენ!

ჯუმბერ უთრუთაშვილს!

გულწრფელი სიყვარულით და პა-ტივისცემით გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელ და ხანგრ-ძლივ სიცოცხლეს. იყავით ბედნიერი თქვენს შვილებთან და შვილიშვილებთან. კვლავაც შემოქმედებით წარმატებებს გისურვებთ. თქვენი ძარღვიანი ქართულით დაწერილი მშვენიერი ლექსები არ მოჰკლებოდეს თქვე-ნი პოეზიის თაყვანისმცემლებს, მათ შორის - ჩვენც.

ზაურ გონაშვილი, თამაზ წიკლაური, სერგო ქართველიშვილი, თამილა ლოგჟანიძე, ნატო ყატაშვილი, ნინო სეხნიაშვილი.

ეთერ ოზბეთელაშვილს!
ლაშა ხეხელაშვილს!

გილოცავთ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის წარმატებით დამთავრე-ბას და იმავე უნივერსიტეტში მუშაობის დაწყებას, სწავლის გაგრძელებას, ასევე სა-დოქტოროს წარმატებით დამთავრებას. სულ ასე წარმატებით გაგეტარებინოთ თქვენი ცხოვრება. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

ბებიები: დარეჯან, ნორა იაკობიშვილები, სვეტა ლაპიაშვილი; პაპა ნუგზარ ლაპიაშვილი, მამა დათო ოზბეთელაშვილი.

ნათია ოზბეთელაშვილს!
შალვა ჭუჭულაშვილს!

გილოცავთ კესანეს დაბადებას. ბედნიერი გოგო გაზრდილიყოს. გისურვებთ გამრა-ვლებას. ასევე გილოცავთ GIPA-ს უნივერსიტეტის დამთავრებას და სწავლის გაგრძელე-ბას. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

ბებიები: დარეჯან, ნორა იაკობიშვილები, სვეტა ლაპიაშვილი; პაპები: ნუგზარ ლაპიაშვილი, დათო ოზბეთელაშვილი.

იყიდება!

იყიდება კერძო კა-პიტალური აგურის სახლი ბელეტაჟზე ორი აივნით და მაღა-ლჭერიანი სარდაფე-ბით. საერთო ფართი არის 1300 კვ.მ და სახლის ფართი 140 კვ.მ. მისამართი: 9 ძმის ქუჩა.

☎ 577 22 32 19.

ფასი 20 000$. იკითხეთ ლევან იაკობიშვილი.

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 07.12	სამშაბათი 08.12	ოთხშაბათი 09.12	ხუთშაბათი 10.12	პარასკევი 11.12	შაბათი 12.12	კვირა 13.12
დღე							
ღამე							
	0°	3°	1°	1°	0°	0°	3°
	-2°	0°	0°	0°	-2°	-1°	2°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.